



ივნისში ს.ს.ფ.-ს მისია საქართველოს მთავრობას დაეხმარა 2000 წლის დარჩენილი პერიოდისათვის ფინანსური პროგრამის შემუშავებაში. საქართველოს მხარე აცნობიერებდა რა შემოსავლების მობილიზების სფეროში შექმნილი პრობლემებისა და დავალიანებათა ზრდის წინააღმდეგ ზომების მიღების აუცილებლობას, დროულად იქნა მიღებული ცვლილებები ბიუჯეტში მთავრობისა და პარლამენტის მიერ. აგრეთვე პროგრესი აღინიშნება ანტი-კორუფციული და სიდატაკის დონის შემცირების სტრატეგიების შემუშავებაში.

მისიასთან გამართული მოლაპარაკებები

ვინაიდან 2000 წლის დასაწყისში საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებული ფინანსური პროგრამა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ სრულდებოდა, განსაკუთრებით ფისკალურ სფეროში, ს.ს.ფ.ს მისიასთან მოლაპარაკებების დროს შეთანხმება იქნა მიღწეული ძლიერი და სტაბილური გარდაქმნების საჭიროებაზე, კერძოდ შემდეგ საკითხებზე:

1. ცვლილებები იქნას შეტანილი 2000 ბიუჯეტში რათა არ მოხდეს დამატებითი დავალიანებათა დაგროვება;
2. მოხდეს ფინანსური პოლიტიკითა და ბიუჯეტით გათვალისწინებული პარამეტრთა წარმატებით შესრულება;
3. გატარებულ იქნას ღონისძიებანი მმართველობაში არსებული პრობლემებისა და კორუფციის წინააღმდეგ;
4. შემუშავდეს სიდატაკის დონის შემცირების სტრატეგია

* შეთანხმდა რომ **შესწორებული ბიუჯეტი** არსებითად უნდა განსხვავდებოდეს 2000 წელს მიღებული კანონისაგან, კერძოდ იგი უნდა ითვალისწინებდეს უფრო დაბალ და

რეალურად დაგეგმილ შემოსავლების დონეს, შემცირებულ სახარჯო ვალდებულებასა და დაფინანსებას, მათ შორის პრივატიზაციიდან ამონაგები თანხის მეკვეთრ შემცირებას. ვინაიდან შემოსავლების პარამეტრები არ სრულდებოდა და შესაბამისად დაფინანსება მცირე იყო, 2000 წელს შეუძლებელი აღმოჩნდა დავალიანების მნიშვნელოვანი დაფარვა, თუმცა ახალი ბიუჯეტი ისე იქნება შემუშავებული რომ დავალიანებების შემდგომი დაგროვება შეჩერდეს. ამავე დროს უმთავრესი ეკონომიკური მაჩვენებლები, კერძოდ მ.შ.პ-ს 4 პროცენტისი ზრდა და ინფლაცია 7 პროცენტი, შეუცვლელი დარჩება.

* მიუხედავად იმისა რომ ახალი საშემოსავლო პარამეტრები უფრო დაბალია ვიდრე ადრე, წლის მეორე ნახევარში **დამატებითი ძალისხმევა საჭირო გადასახადების ამოსაღებად.** შემოსავლების ზრდის მიზნით მთავარი ყურადღება უნდა იყოს მიმართული საგადასახადო ადმინისტრაციის გაძლიერებაზე, მათ შორის საგადასახადო დეპარტამენტის ინსტიტუციონალურ რეფორმაზე, Iთმ (წინა საიმპორტო ინსპექციის) უკეთეს გამოყენებაზე, უნდა გამკაცრდეს პროცედურები ტრანზიტის რეჟიმის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ, გადახდილი დ.დ.გ.-ს დაბრუნების,

ჰუმანიტარული და გრანტით დაფინანსებული იმპორტის გადასახადებიდან განთავისუფლების უმართებულო შემთხვევების შემცირება, და სიგარეტისა და საწვავის დაბეგვრის გაუმჯობესებული კონტროლი და მართვა.

* მისიამ აგრეთვე განიხილა **ხარჯებზე კონტროლის გაუმჯობესების პოლიტიკა**, მათ შორის ძალოვანი სამინისტროების ხაზინების გაუქმება, კომერციული სესხების მისაღებად გრანტიების გაცემის შეწყვეტა, ცენტრალური ხაზინის უფლებამოსილება გაატაროს და აკონტროლოს დარგობრივი სამინისტროების მნიშვნელოვანი ვალდებულებანი, საგადასახადო ჩათვლებით გატარებული ოპერაციების გაუქმება, რიგი შემწვობების გაუქმება საჯარო სექტორში მომუშავეთათვის და დავალიანებებზე აუდიტის ჩატარება.

* **მმართველობაში** არსებულ პრობლემებთან და **კორუფციასთან** მიმართებაში შემდეგი ღონისძიებები დაიგეგმა: შესრულებულ იქნას სიგარეტის და საწვავის დაბეგვრიდან მისაღები შემოსავლების პარამეტრები, მკაცრი ზომები იქნას მიღებული იმ პირთა მიმართ ვინც არ იხდის გადასახადებს ან კორუფციაშია ჩათრეული, საგადასახადო და საბაჟო (ს.ს.ფ.-ს ტექნიკური დახმარებით) სისტემების რეფორმა, სახელმწიფო მოხელეთა ფინანსური მდგომარეობის უკეთესად დაფიქსირება, ეთიკის კოდექსის გაძლიერება საჯარო მოხელეთათვის, მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების მიხედვით სახელმწიფო შესყიდვების და ლიცენზიის ჩამორთმევის პროცედურების გაუმჯობესება.

* ხელისუფლებასთან შეთანხმდა **სილატაკის ღონის შემცირების სტრატეგიის** შემუშავება, რომელსაც საფუძვლად დაედება 5 სამუშაო ჯგუფის მასალები. სტრატეგიაში შეტანილი იქნება მიმდინარე და დაგეგმილი პოლიტიკის მოკლე შეჯამება, სილატაკის ღონის და ბუნების შეფასება და სიღარიბის მონაცემთა დროული და მუდმივი მონიტორინგი. სტრატეგიის კონტექსტში უნდა იქნას განხილული სტრუქტურულ საკითხთა ფართო სპექტრი, მათ შორის საბანკო და ენერჯო სექტორის საკითხებიც.

უახლესი ზომები

ფონდთან იენისში ჩატარებული მოლაპარაკებების შემდეგ, მთავრობამ შემდეგი ნაბიჯები გადადგა:

* პარლამენტმა დაამტკიცა ბიუჯეტში ცვლილებები 13 ივლისს რომელშიც ჩადებული პარამეტრები ახლოსაა იენისში ფონდთან მოლაპარაკებულ ციფრებთან;

* პრეზიდენტმა 9 ივლისს გამოსცა განკარგულება სამუშაო ჯგუფის შექმნაზე, რომელიც ანტი კორუფციულ სტრატეგიას შეიმუშავებს 2000 წლის შემოდგომამდე;

* სილატაკის ღონის შემცირების სტრატეგიაზე მუშაობა დაწყებულია და მიმდინარეობს მუშაობა ხუთიდან ოთხ ქვე-ჯგუფში (სოციალური, ინფრასტრუქტურული, ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა და სასოფლო სამეურნეო საკითხები).

ცხრილი 1. საქართველო: ეკონომიკური და ფინანსური მონაცემები

	1997	1998	1999	2000 Q1	2000 Q2
გაცვლითი კურსი (ლარი/US\$), კურსი პერიოდის ბოლოს	1.30	1.79	1.96	1.93	1.96
გაცვლითი კურსი (ლარი/US\$) საშუალო კურსი პერიოდისათვის	1.29	1.39	2.01	1.98	1.97
სამომხმარებლო ფასები (ცვლილება 12 თვის განმავლობაში, პროცენტი)	7.2	10.7	10.9	1.1	2.3
რეალური მშპ მილიონ ლარში	4,516	4,844	5,475	1,374	1,531
მშპ-ს ზრდა (%) ^{1/}	10.7	2.9	3.3	4.8	1.0
	(მილიონი აშშ დოლარი)				
მოთიანი რეზერვები უცხოურ ვალუტაში	173.3	118.4	132.4	123.0	109.2
	(მილიონი ლარი)				
სახელმწიფო ოპერაციები შემოსავლები და გრანტები	668.8	786.4	873.5	186.4	...
ხარჯები ^{2/}	982.4	1096.4	1252.5	274.4	...
დაფინანსება ^{3/}	313.6	310.0	379.0	88.0	...

^{1/} საქართველოს მთავრობის განახლებული მონაცემები; 2000 წლის მეორე კვარტლის მონაცემები წინასწარია

^{2/} ვალდებულების მიხედვით

^{3/} საკასო დაფინანსებას დამატებული ხარჯების დავალიანების ცვლილება და სხვა ნაშთი